საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

18/02/2025

MES 7 25 0000292796

გადაწყვეტილება

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის „მასწავლებლის მომზადების (მოდულები: დაწყებითი საფეხურის მასწავლებელი (I-IV კლასები); ფიზიკური აღზრდა და სპორტი; ქართული, როგორც მეორე ენა; ფრანგული ენა; გერმანული ენა; იტალიური ენა; რუსული ენა") საგანმანათლებლო პროგრამის ა კრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) 27^2 -ემუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირობითი აკრედიტაციის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საბჭო, თუ „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-5 და მე-9 პუნქტების და აკრედიტაციის დებულების 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამა სრულად ვერ აკმაყოფილებს აკრედიტაციის სტანდარტებს, კერძოდ, თუ საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას: ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ 27^5-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.
1.4. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^6 - ე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, პირობითი აკრედიტაციის ვადაა არაუმეტეს 4 წელი.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება
2.1. ვიზიტის ბრძანება (№1151999, 18/09/2024; ბრძანებაში ცვლილება - №1328506; 15/10/2024).
2.2 საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.
2.3 სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ მეტწილად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება, კერძოდ:
ა) 1.3 კომპონენტში დაემატა შემდეგი რეკომენდაცია, "რეკომენდებულია გადაიხედოს და დაზუსტდეს სწავლის შედეგების რუკა, რათა ნათლად გამოიკვეთოს თითოეული სასწავლო კურსის როლი პროგრამის შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევაში" და აღნიშნული კომპონენტი ნაცვლად „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განისაზღვრა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.
ბ) 1.4 კომპონენტში დაემატა შემდეგი რეკომენდაცია, "რეკომენდებულია დაიხვეწოს პროგრამის სტრუქტურა რათა გამოიკვეთოს პროგრამის შემადგენელი მოდულები(პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური მოდული, საგნობრივი მეთოდიკის მოდული, სასკოლო პრაქტიკა)" და აღნიშნული კომპონენტი ნაცვლად „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განისაზღვრა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. პირველი სტანდარტის შეფასება დარჩა უცვლელი - „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.
გ) 2.3 კომპონენტში დაემატა შემდეგი რეკომენდაცია "რეკომენდებული პროგრამაში გამოიკვეთოს სწავლებისა და სწავლის ძირითადი მეთოდები, რომელიც გათვალისწინებულია პროგრამის მიზნებისა და შედეგების მიღწევისათვის" და აღნიშნული კომპონენტი ნაცვლად „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განისაზღვრა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ თუმცა, აღნიშნულ ცვლილებას არ გამოუწვევია მთლიანი სტანდარტის შეფასების ცვლილება.

3. სარეზოლუციო ნაწილი
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ემუ ხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ „მასწავლებლის მომზადების (მოდულები: დაწყებითი საფეხურის მასწავლებელი (I-IV კლასები); ფიზიკური აღზრდა და სპორტი; ქართული, როგორც მეორე ენა; ფრანგული ენა; გერმანული ენა; იტალიური ენა; რუსული ენა)" საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2032 წლის 04 თებერვლამდე.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა „მასწავლებლის მომზადების (მოდულები: დაწყებითი საფეხურის მასწავლებელი (I-IV კლასები); ფიზიკური აღზრდა და სპორტი; ქართული, როგორც მეორე ენა; ფრანგული ენა; გერმანული ენა; იტალიური ენა; რუსული ენა)" საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2025 წლის 18 თებერვლის №214774 ოქმის № 03 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).
4. დაწესებულებას საბჭომ შესასრულებლად განუსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია გადაიხედოს და დაზუსტდეს სწავლის შედეგების რუკა, რათა ნათლად გამოიკვეთოს თითოეული სასწავლო კურსის როლი პროგრამის შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევაში; (1.3)
- რეკომენდებულია დაიხვეწოს პროგრამის სტრუქტურა რათა გამოიკვეთოს პროგრამის შემადგენელი მოდულები (პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური მოდული, საგნობრივი მეთოდიკის მოდული, სასკოლო პრაქტიკა); (1.4)
- რეკომენდებულია, ქართულის, როგორც მეორე ენის მეთოდიკის სწავლებისას ქართული ენის ფლობის დონეების ზოგადი აღწერილობის გათვალისწინება; (1.5)
- რეკომენდებულია, გადაიხედოს მასწავლებლების მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების შეფასების კრიტერიუმები და დაშვების წინაპირობა კომპიუტერული უნარ-ჩვევების შემოწმების ნაწილში; (2.1)
- რეკომენდებულია, გადაიხედოს და დაიხვეწოს პრაქტიკის კომპონენტის შეფასების სისტემა და დაინერგოს პორტფოლიოს პლაგიატზე შემოწმების მექანიზმი; (2.2)
- პრაქტიკის კომპონენტის ეფექტური ორგანიზებისთვის რეკომენდებულია შემუშავდეს დეტალური პრაქტიკის გზამკვლევი შემდეგი კომპონენტებით: ვადები და ეტაპები, პრაქტიკის ობიექტების შერჩევის წესი, პრაქტიკის ხელმძღვანელის შერჩევის კრიტერიუმები, პრაქტიკანტთა განაწილების პრინციპები, ხელმძღვანელის როლი და პასუხისმგებლობები; (2.2)
- რეკომენდებულია, პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებულ ყველა ხელშეკრულება/შეთანხმება ითვალისწინებდეს პრაქტიკანტების რაოდენობას; (2.2)
- რეკომენდებული პროგრამაში გამოიკვეთოს სწავლებისა და სწავლის ძირითადი მეთოდები, რომელიც გათვალისწინებულია პროგრამის მიზნებისა და შედეგების მიღწევისათვის; (2.3)
- რეკომენდებულია, ანტიპლაგიატის პროგრამის გამოყენება და პლაგიატის აღმოჩენისა და მისი თავიდან აცილების მექანიზმების შესახებ ინფორმირებულობის გაზრდა; (2.4)
- რეკომენდებულია, საკონსულტაციო საათებს ჰქონდეს უფრო სისტემური და ოფიციალური სახე; (3.1)
- რეკომენდებულია, გაიზარდოს დოქტორის ხარისხის მქონე აკადემიური პერსონალის რაოდენობა პროგრამაში, რომლებიც პროფესიული ნიშნით არჩეულ სხვა აკადემიურ

პერსონალთან ერთად აქტიურად იქნება სამეცნიერო და კვლევით საქმიანობაში ჩართული; (4.1)

- რეკომენდებულია, პროგრამის აკადემიური პერსონალი ახორციელებდეს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას. (4.3)

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- სასურველია, პროგრამის შემუშავებისა და განვითარების პროცესში ინტერნაციონალიზაციის კომპონენტის უფრო მეტად გაძლიერება; (1.4)
- სასურველია, შესაბამის სასწავლო კურსებში უფრო გამოიკვეთოს ენათა ფლობის დონეების სწავლება საერთო ევროპული ჩარჩოს მიხედვით; (1.5)
- სასურველია, დაწესებულებამ სწავლის შედეგების სისტემური შემოწების მიზნებისთვის გამოიყენოს ციფრული პლატფორმა, რაც ხელს შეუწყობს სწავლის შედეგების შეფასების პროცესის ავტომატიზაციას, მონაცემების ეფექტურ შეგროვებასა და ანალიზს, ასევე, შეფასების შედეგების უფრო სწრაფ და ზუსტ დამუშავებას; (1.3)
- სასურველია, გადაიხედოს ,,სტუდენტთა კონტინგენტის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის წესი'' ტექნიკურად, რომელიც გაითვალისწინებს არა მხოლოდ სტუდენტთა, არამედ მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ პირთა კონტინგენტის დათვლის მეთოდოლოგიას; (2.1)
- სასურველია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს წამახალისებელი მექანიზმებით პროგრამაზე ჩარიცხულ პირთა აქტიური ჩართულობა სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში და რეგულარულად იმართებოდეს სამეცნიერო კონფერენციები, ვორქშოფები და სხვა პრაქტიკული ღონისძიებები, რაც ხელს შეუწყობს მათი კვლევითი უნარების განვითარებას; (2.2)
- სასურველია, სტუდენტების უფრო მკაფიოდ ინფორმირება დასაქმებისა და კარიერული განვითარების სამმართველოს მიერ დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ; (3.1)
- სასურველია, განახლდეს პროგრამის განმახორციელებელთა პირადი საქმეები სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობების მითითებით; (4.3)
- უნივერსიტეტის სამეცნიერო პოტენციალის ასამაღლებლად და აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის გასაუმჯობესებლად, სასურველია, უფრო მეტად გაძლიერდეს უნივერსიტეტში აფილირების პოლიტიკა აკადემიური პერსონალის კვლევითი მხარდაჭერის მექანიზმების გაძლიერების კუთხით; (4.3)
- სასურველია, სტუდენტების უფრო მკაფიო და ხშირი ინფორმირება უნივერსიტეტის ონლაინ ბიბლიოთეკის (ელ-კატალოგი, სამეცნიერო ბაზები და სხვ.) შესაძლებლობისა და მოხმარების წესების შესახებ; (4,4)
- სასურველია, საერთაშორისო ელექტრონულ სამეცნიერო ბაზებს დაემატოს ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებებისათვის განკუთვნილი ელექტრონული სამეცნიერო ბაზა- jstor.org; (4.4)
- სასურველია, უსდ-ს აღნიშნული პროგრამის ანალოგიებში წარმოდგენილი და გაანალიზებული ჰქონდეს უცხოური ქვეყნების მსგავსი პროგრამებიც; (5.3)
- სასურველია, პერსონალის ხელმშეწყობ მექანიზმებში გააქტიურდეს პერსონალის მხარდაჭერა საერთაშორისო გამოცემებში მათი პუბლიკაციების გამოსაცემად, ვორქშოფესა და კონფერენციებში მონაწილეობის მისაღებად. (5.3)

4. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2025 წლის 04 თებერვალს.
5. საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვროს ერთი წელი - 2026 წლის 04 თებერვლამდე.
6. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“

საქართველოს კანონის 241მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) კანონმდებლობის შესაბამისად დაწესებულებისთვის გაცნობის დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
მდივანი
ტეფნაძე დავით



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ლომინაძე თამარ